

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №01-06/07

მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის I კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

4. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5. ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი: სულიკო სურმანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № --

2022 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 10/12/2019; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.134.016303) შეტანილი იქნას ცვლილება და:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საბჭოს შემადგენლობაში გენდერული ბალანსის დაცვით შედიან ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელე/ები, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელი/ები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი/ები, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი/ები, მოწყვლადი ჯგუფების და სპეციალური საჭიროებების მქონე პირები.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მოქალაქეთა ინიციატივები განხილვისათვის წარედგინება საბჭოს. საბჭო შეისწავლის და განიხილავს საპროექტო განაცხადებს, აგრეთვე, საბჭო გენდერულ ჭრილში ახდენს წარდგენილი იდეებისა და საბოლოოდ დამდგარი შედეგების შეფასებას, ღებულობს დასკვნასა და რეკომენდაციას, რომელიც ეგზავნება ქედის მუნიციპალიტეტის მერს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინების მიზნით.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-3 მუხლს დაემატოს მე-9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საბჭომ უნდა უზრუნველყოს გამარჯვებული იდეის ავტორის ჩართულობა შესყიდვებისა და მონიტორინგის განხორციელების პროცესში.“

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. იდეების წარდგენის ეტაპიდან დაცული იქნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ცვლილებები შედის დადგენილებით დამტკიცებული დანართის სხვადასხვა მუხლში, აღნიშნული ცვლილებების შედეგად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2022 წლის 10 მაისის № GOV 6 22 00014191 სამართლებრივი დასკვნა.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: სულიკო ჩხიკვაძე.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე.

ვ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



GOV 6 22 00014191



10/05/2022

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2022 წლის 3 მაისის №95-95221231 წერილით სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარმოდგენილი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: „ქედის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 05 დეკემბრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომლის მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
რევაზ ჯაველიძე



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2022 წლის -- მაისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო - ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.134.016241; 09/01/2018) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ლ¹) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის, რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის გავრცელების წესის დარღვევისათვის საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები. როგორც მოგეხსენებათ 2022 წლის 1 მარტიდან აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ რეკლამის გავრცელებასა და აბრის განთავსებასთან დაკავშირებით ამოქმედდება შემდეგი შინაარსის 8³ მუხლი, რომლის თანახმადაც:

„1. აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით, გავრცელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება იმ ვებგვერდზე განთავსებით, რომელზედაც დაშვებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის მოწყობა;

ბ) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება სპორტული ღონისძიების, სპორტული შეჯიბრების გამართვის ადგილზე ან/და სპორტული ორგანიზაციის საქმიანობის ადგილზე და აღნიშნული არის მათი საქმიანობის სპონსორობის სანაცვლო პირობა;

გ) აღნიშნული რეკლამა ვიზუალურად განთავსებულია იმ ობიექტზე, სადაც დაშვებულია აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს ან/და ბინგოს მოწყობა; ამასთანავე, ამ რეკლამის განთავსების ფართობი 10 კვ. მ-ს არ აღემატება და იგი აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ ერთადერთი რეკლამაა აღნიშნულ ობიექტზე;

დ) აღნიშნული რეკლამა განთავსებულია საერთაშორისო მიმოსვლისთვის გახსნილი აეროპორტის ტერიტორიაზე ან/და სასაზღვრო-საბაჟო გამშვებ პუნქტზე.

2. დაუშვებელია აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის შესახებ ინფორმაციის შემცველი ერთზე მეტი აბრის განთავსება. ეს აბრა 10 კვ. მ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სპორტული ღონისძიების, სპორტული შეჯიბრების ან/და სპორტული ორგანიზაციის საქმიანობის სპონსორობის სანაცვლოდ რეკლამის გავრცელება ნებადართულია მხოლოდ ვიზუალური ფორმით, სპორტული ღონისძიების ან/და სპორტული შეჯიბრების გამართვის ადგილის (ობიექტის) შიდა პერიმეტრზე, ბანერის განთავსებით ან/და მოთამაშეთა (სპორტულ ღონისძიებაში/შეჯიბრებაში მონაწილეთა) უნიფორმაზე განთავსებით.

4. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის საფუძველზე ჩასატარებელი გათამაშების შესახებ რეკლამის რაიმე ფორმით ან საშუალებით, მათ შორის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელით, გავრცელება დაუშვებელია, თუ წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა გაცემულია აზარტული თამაშობის ორგანიზატორზე, ტოტალიზატორის ორგანიზატორზე, ლოტოს ორგანიზატორზე ან/და ბინგოს ორგანიზატორზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება იმ ვებგვერდზე განთავსებით, რომელზედაც დაშვებულია სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობის ან/და ტოტალიზატორის მოწყობა;

ბ) აღნიშნული რეკლამა ვრცელდება მხოლოდ აზარტული თამაშობის მოწყობის, ტოტალიზატორის მოწყობის, ლოტოს მოწყობის ან/და ბინგოს მოწყობის ობიექტის შიდა პერიმეტრზე“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის განთავსების წესების დარღვევისთვის ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 158⁵ მუხლით, რომლის თანახმადაც:

„1. აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების ან/და აბრის განთავსების წესის დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

3. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლის პროგრამაში აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის/სასპონსორო განცხადების გავრცელება ან/და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება – გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირი ვალდებულია ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 კვირის ვადაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს იმ წესის/იმ წესების დაცვა, რომლის/რომელთა დარღვევის გამო მას ამ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელი დაედო. ამ შენიშვნით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმის გასამმაგებას.“

ამავე კოდექსის 239-ე მუხლის 27-ე პუნქტის თანახმად, 158⁵ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს, უფლებამოსილების ფარგლებში ადგენს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისა და კანონით გათვალისწინებული ზომების გატარების მიზნით, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილების შეტანა ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში, რადგან დასახელებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე სწორედ ამ სამსახურს უნდა მიენიჭოს ეს უფლებამოსილება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულებაში ცვლილების შეტანა, რათა სამართლებრივად მუნიციპალიტეტის დონეზე მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებაში ცვლილების/დამატების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ლ¹) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის, რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის გავრცელების წესის დარღვევისათვის საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;“

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში იმიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა დროულად განხორციელდეს საქართველოს კანონის „რეკლამის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შეტანილი ცვლილებების ასახვა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ დონეზე მოქმედ სამართლებრივ აქტში.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - სულიკო სურმანიძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა-შესრულება 2022 წლის I აპრილის მდგომარეობით

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 19 976 177 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 1 აპრილის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 212 580 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 232 523 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2 679 998 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2 676 676 ლარი, ქონების გადასახადი 3 322 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 57 099 ლარი, მათ შორის: პროცენტები 22 998 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 13 279 ლარი, ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახადები 4 652 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 3 100 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 8 225 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 4 845 ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2022 წლის გადასახდელების I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 845 602 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 914 127 ლარი.

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 924 980 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 740 827 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 231 200 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 193 584 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 609 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 475 958 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 21 100 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 611 ლარი.

მონაწილეობითი ბიუჯეტი 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 26 100 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 26 093 ლარი.

II. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 181 120 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 159 621 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 175 720 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 154 221 ლარი;

დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა 2022 I კვარტლის წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 400 ლარი;

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 212 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 124 433 ლარი, მათ შორის:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის სისტემის მშენებლობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი,

სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 37 000 ლარი.

შპს ქედის წყალკანალი 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 125 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 124 433 ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 108 359 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 58 359 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი.

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულში შენობის მიმდებარეს პარკის მშენებლობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 58 359 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 58 359 ლარი,

მუნიციპალური განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 36 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 581 ლარი, მათ შორის:

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 183 ლარი,

მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 35 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 398 ლარი,

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 000 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 145 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 560 ლარი.

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 296 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 239 290 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 296 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 239 290 ლარი,

IV. განათლება

განათლების სფეროს 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 578 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 535 470 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 578 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 535 470 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 578 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 535 470 ლარი,

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 672 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 431 400 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 259 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 156 193 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 102 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 72 383 ლარი;

სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 745 ლარი;

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 765 ლარი;

სარაგბო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 36 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 36 300 ლარი;

დაბა ქედაში აზუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი;

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 371 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 275 207 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 275 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 206 784 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 436 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 939 ლარი;

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8 047 ლარი;

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 000 ლარი;

სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 35 000 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 717 043.50 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 554 169 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 219 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 188 973 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 52 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 49 500 ლარი;

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 29 004 ლარი;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 23 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 15 000 ლარი;

ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 469 ლარი;

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 80 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 80 000 ლარი;

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 100 ლარი;

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 497 443.50 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 365 196 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 600 ლარი;

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 318 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 150 ლარი;

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 180 ლარი;

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 33 000 ლარი;

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17 000 ლარი;

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 224 ლარი;

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 803 ლარი;

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 99 395 ლარი,

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 55 000 ლარი,

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 300 ლარი;

საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 100 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 27 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18 000 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა 2022 წლის I კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 198 443.50 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 162 444 ლარი.

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2022 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურმა 2022 წლის დასაწყისიდან დღემდე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელა სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისი პროცედურები. წლის დასაწყისიდანვე ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების გათვალისწინებით დამტკიცებული იქნა შესყიდვების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს წლის განმავლობაში 8625652 ლარის შესყიდვებს. დღეის მდგომარეობით შესაბამისი პროცედურების დაცვით, ბაზრის კვლევის შედეგად დადგენილი ფასების გათვალისწინებით გამოცხადებული იქნა 51 ელექტრონული ტენდერი, მათგან დასრულებული და ხელშეკრულება გაფორმებულია 40 მომწოდებელთან. არ შედგა 6 ტენდერი. მათ შორის დანდალოს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი, რაშიც არ გამოვლინდა გამარჯვებული. არ შემდგარი ტენდერები გამოცხადდა განმეორებით და დასრულდა დადებითად. შეწყდა 1 ტენდერი სააგენტოს ბრძანებით სისტემაში გამოვლენილი ხარვეზების გამო. კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით დაიდო 30 ხელშეკრულება, მათ შორის საწვავის, კომპიუტერული ტექნიკის მოწოდების თაობაზე. გამარტივებული შესყიდვის გზით დაიდო 21 ხელშეკრულება, მათ შორის 5 ათასამდე ღირებულების შესყიდვებზე, დაცვის სამსახურთან ექსკლუზიური უფლებით. სახელმწიფო შესყიდვებზე დადებული ხელშეკრულებების ძირითადი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე განსახორციელებელ შესყიდვებზე. მიმდინარე წელში ინფრასტრუქტურის კუთხით განსახორციელებელი პროექტებისათვის გამოყოფილი ხარჯები შეადგენს 6078690 ლარს. მათგან დღეისათვის 3315678 ლარზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და მიმდინარეობს მუშაობა. გამოცხადებული და დასრულებული ტენდერების შედეგად მიღებული იქნა ეკონომია 361636 ლარი.

სამსახურის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ გამოყოფილი ხარჯებით და სოფლებში მოსახლეობის შეხვედრების დროს მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით შედგენილი იქნა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის შესაბამისი შესყიდვების განხორციელებისათვის, კერძოდ მზა ბეტონის შესყიდვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება 355000 ლარზე და მიმდინარეობს მოწოდება. გამოცხადებულია ტენდერები გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე 340942 ლარზე, რაც დასრულდება უახლოეს დღეებში.

სამსახურის მიერ გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული მუნიციპალური ქონების მართვის კუთხით. კერძოდ სამსახურის სპეციალისტების უშუალო მონაწილეობით ჩატარდა ქონების ინვენტარიზაცია და შედგენილი იქნა შესაბამისი აქტები. კომისიის მიერ გამოვლენილი იქნა 460 ერთეული ჩამოსაწერი მცირეფასიანი ინვენტარი და ელექტრონული ტექნიკა.

ასევე, 2022 წლისათვის შედგენილი და საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილი იქნა საპრივატიზაციო ქონების ნუსხა 14 ერთეულზე, მათ შორის 4 ერთეული მიწის ნაკვეთი, 4 ერთეული შენობის ფართი და 6 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა.

წლის დასაწყისიდან გაფორმდა ხელშეკრულებები ქონების აუდიტორული შეფასებების და ტექნიკური ნახაზების მომზადების თაობაზე ორ კომპანიასთან. დღეის მდგომარეობით მომზადებულია 19 ერთეული აზომვითი ნახაზი, დარეგისტრირდა 8 ერთეული ქონება. აუდიტორის მიერ შეფასებული იქნა 9 ერთეული ქონება.

სამსახურში წლის დასაწყისიდან დღემდე შემოსულია 471 წერილობითი დოკუმენტი განცხადებებისა და კორესპოდენციების სახით, რომელთაგან განხილული და პასუხგაცემულია 458 დოკუმენტი. სამსახურის მიერ გარემოს დაცვის, სტატისტიკური ინფორმაციის, ქონების მართვისა და სხვა საკითხებზე მომზადებულია და სხვადასხვა უწყებებში გაგზავნილია 31 წერილობითი დოკუმენტი.

ეკონომიკური განვითარების სამსახურში დასაქმებული 3 უფროსი სპეციალისტი და განყოფილების უფროსები სამსახურეობრივი უფლებამოსაღებების შესრულებასთან ერთად მონაწილეობას ღებულობენ მერის ბრძანებით შექმნილ მუდმივმოქმედ კომისიებში როგორცაა ქონების ინვენტარიზაციის, სატენდერო, მაღალმთიანი სტატუსის მართვის, ტექნიკურ საბჭოსა და სხვა კომისიებში.

ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის პირველი კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საანგარიშო პერიოდში მშენებლობის ნებართვის მისაღებად შემოსულ განცხადებებზე კანონით განსაზღვრულ ვადაში გაცემულია 2 (ორი) სამშენებლო ნებართვა. კერძოდ, სოფელ სილიბაურში შპს „ეკო ჰაუს მერისი“-ს მიერ აღნაგობის უფლებით სარგებლობაში მიღებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური დანიშნულების შენობაზე, სოფელ ცხემნაში საავტომობილო გზების დეპარტამენტის ორსართულიანი ქედის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობის ოფისისათვის. სამშენებლო სამართალდარღვევის გამო ფიზიკური პირი უნებართვო მშენებლობის განხორციელების გამო დაჯარიმებულ იქნა, ხოლო ორ ფიზიკურ პირს მიეცათ წერილობითი გაფრთხილება შენობა-ნაგებობების მახასიათებლების დარღვევისათვის, რათა წარმოედგინათ სათანადო დოკუმენტაცია, რაც შესრულდა.

ჩატარდა კეთილმოწყობითი და დასუფთავების სამუშაოები შპს ქედის „კომუნალურსერვისი“-ს სამსახურთან ერთად დაბა ქედის ტერიტორიაზე. კერძოდ გაიწმინდა და დასუფთავდა რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ფრიდონ ხალვაშის სახელობის, გამარჯვებისა და 9 აპრილის პარკი ნაგვისა და სარეველა მცენარეებისაგან. მოწესრიგდა გოგებაშვილის, სახოკიას, თამარის, აღმაშენებლის, 26 მაისის, ყ. შერვაშიძის ქუჩების ტერიტორია ჩატარდა დაქსუფთავების აქცია 22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზვარის, მახუნცეთის, დოლოგნის ადმინისტრაციულ ცენტრებში და დაბა ქედამი მდ. აჭარისწყლის მიმდებარე ტერიტორიაზე. უხვი ნალექის (თოვლის) საფარისაგან იწმინდებოდა დაბა ქედის ქუჩები, ტროტუარები, საცალფეხო კიბეები და მრავალწლიანი ნარგავები. მოსახლეობის ძალეობით არაერთხელ გაიწმინდა ორცვა- არსენაულის, დოლოგნის, აქუცის საცალფეხო ხიდეები თოვლის საფარისაგან. შემოტანილი იქნა ტექნიკური მარილი და დაიყარა ქუჩებსა და საცალფეხო კიბეებზე. სისტემატურად მიმდინარეობს ქუჩების დაგვა-დასუფთავება და ხდება ნაგვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა დაბა ქედისა და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან. სამსახურის მიერ კოვიდ რეგულაციებთან სანიტარულ-ჰიგიენური და სანიტარულ-ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევებზე ტარდებოდა მონიტორინგი მუნიციპალიტეტში განთავსებულ სილამაზის სალონებსა, სადალაქოებსა და საზოგადოებრივ ობიექტებში.

სისტემატიურად ხორციელდება დაზიანებული გარე განათების ქსელებისა და სანათი წერტილების აღდგენა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. აღდგენილ იქნა და სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა არსენაულის, ხუნკუდის, 3/მაისის, ზუნდაგის, ქვ.კუჭულის, წონიარისის, დანდალოს, გულების სოფლებში.

ზედამხედველობის სამსახურისა და შპს „კომუნალურსერვისი“-ს მიერ სისტემატიურად ხდება გაფრთხილება ფიზიკური და იურიდიული პირებისა, რადგან მათ სამოქმედო ტეროტორიაზე მოახდინონ მოვლა პატრონობა და დანაგვიანების აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათზე, დასუფთავების წესების დარღვევისთვის გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები. განხორციელდა დოლოგნის, დაბა ქედისა და 3/მაისის, მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებში მოსახლეობასთან შეხვედრები გარემოს დანაგვიანებაზე. განთავსებულ იქნა საჯარო ადგილებში გამაფრთხილებელი პლაკატები და დარიგებული იქნა ბუკლეტები. სისტემატიურ კონტროლზეა აყვანილი მდინარე აჭარისწყლის სანაპიროდან ინერტიული მასალების მომპოვებელი კომპანიები, რათა არ მოახდინონ გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილის დანაგვიანება. გამოვლენილი ფაქტების შემთხვევაში მათზე ტარდება კანონით გათვალისწინებული ზომები.

შპს „ წყალკანალი“-ს მიერ ჩატარდა საკანალიზაციო - სანიღვრე არხების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა აბუსერიძის, აღმაშენებლის, რუსთაველის, სახოკიასა და გოგებაშვილის ქუჩაზე და აწვეის დასახლებაში. ხორციელდება სექტივების დაქლორვა და მიმდებარე ტერიტორიების დასუთავება. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა შევაბურის, არსენაულის, ორცვის წყლის მაგისტრალებს. დაბა ქედაში სისტემატურად ხდება არსებული სანიღვრე არხების გაწმენდა.

პერიოდულად ვანხორციელებთ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახური, ამორტიზირებულ ობიექტებზე ღონისძიებების გატარებას. სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა დაბა ქედაში მდებარე კოსტავას ქუჩაზე გამგეობის ყოფილი საქვაბეშენობა-ნაგებობისა და აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე თამბაქოს მიმღები პუნქტის მდგრადობა. შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ შენობები ავარიულ მდგომარეობაშია და ექვემდებარება დემონტაჟს. საანგარიშო პერიოდში აღებული იქნა უნებართვოდ განთავსებული მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო ჯიხური მახუნცეთის თემის აწვეის დასახლებაში ავტოსადგომის ტერიტორიაზე. დემონტაჟი ჩაუტარდა დაბა ქედაში სახოკიას ქუჩაზე მდებარე კომისარიატის ყოფილ უმოქმედო და ავარიულ ავტოგარაჟსა და საშემე დამხმარე ნაგებობას. დაბა ქედაში დაიშალა და გამონთავისულდა თვითნებურად დაკავებული საბოსტნე ტერიტორიები რუსთაველის ქუჩასა და ღვინის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მეპატრონეების მიერ.

სისტემატურად ვახდენ კონტროლს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული მშენებლობისა და მიმდინარე მშენებარე შენობა-ნაგებობებზე ღონისძიებების გატარებას. ამ ეტაპზე აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამი მინი სპორტული მოედნის მშენებლობა დ.ქედაში, კვამტასა და მახუნცეთში .ხორციელდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და შიდა საუბნო გზების სამუშაოები.

სამსახური ანხორციელებს მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ზონებში არსებული კერძო საცხოვრებელი სახლებისა და ტერიტორიების ვიზუალური გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ადგილზე გასვლას და შემოწმებას. საანგარიშო პერიოდში შემოსული 11 განცხადებიდან შესწავლილი და შედგენილი იქნა ხარჯთაღრიცხვა 5 საცხოვრებელ სახლზე, რის შემდეგ შედგენილი დოკუმენტაცია გადაეგზავნა შესაბამის სამსახურებს.

ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის საშუალებით კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სამსახურმა დროულად მოახდინა რეაგირება შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე .ყველა მათგანს დროულად გაეცა პასუხი, რომლებიც გადაიგზავნა შესაბამის დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში.

ზედამხედველობის სამსახური საგანგებო მსჯელობის საგნად გახდის, როგორც სახელმწიფო სექტორის , ასევე კერძო მოსახლეობის მხრიდან საზედამხედველო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კანონდარღვევათა ყველა ფაქტს, მიიღებს კომპეტენციის ფარგლებში გასატარებელ ღონისძიებებს.